დასკვნა:**დ08.37221112**
თარიღი:**21/04/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ“ - დადგენილების პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა„ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ“ - დადგენილების პროექტი და დაადგინა:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესი“ (შემდგომში წესის) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის, 24-ე მუხლის და 61-ე მუხლის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 25-ე მუხლების მოთხოვნებით.

2. ზემოთ აღნიშნული წესის შესაბამისად პროგრამის მიზნებია: სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა; აგროტურისტული პოტენციალის განვითარება; ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა; დასაქმების ხელშეწყობა.

3. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროდ წესი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ასიგნებებს. პროგრამის დაფინანსების მიზნით პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მოზიდული თანხა წესის შესაბამისად აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

4. წესში კარგად არის გაწერილი პროგრამის განხორციელების ეტაპები, რომელიც მოიცავს: კონკურსის გამოცხადება, ბიზნესიდეების მიღება, ბიზნესიიდების გადარჩევა, ბენეფიციარების გადარჩევა, ბენეფიციარების გადამზადება, ბიზნესგეგმების წარდგენა, ბიზნესგეგმების შეფასება, გამარჯვებული პროექტების გამოცხადება, გამარჯვებული პროექტების დაფინანსება, გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, პროგრამის შეფასება.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების

გაუმჯობესებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის“ საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი